შ.პ.ს.
"გეო-ძიება 2013"

“ქ. თბილისი, სოფ. წავკისში (მიწის ნაკვეთი ს/კ 81.02.22.262) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა”

/საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა/



დირექტორი, გეოლოგიის აკად. დოქტორი:

ინჟინერ-გეოლოგი:

თბილისი / 2021წ.

სარჩევი

1. ტექნიკური დავალება ——— 3გვ;
2. ჩასატარებელი კვლევების პროგრამა ——— 4გვ;
3. შესავალი ——— 5გვ;
4. ზოგადი დახასიათება ——— 7გვ;
5. გეომორფოლოგია ——— 7გვ;
6. გეოლოგიური აგებულება ——— 7გვ;
7. ტექტონიკა ——— 9გვ;
8. სეისმური პირობები ——— 11გვ;
9. ჰიდრო-გეოლოგიური პირობები ——— 13გვ;
10. კლიმატური პირობები ——— 15გვ;
11. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ——— 16გვ;
12. დასკვნები და რეკომენდაციები ——— 19გვ;
13. გამოყენებული მასალა ——— 22გვ;

/დ ა ნ ა რ თ ი/

14. ლითოლოგიური სვეტები ——— 23გვ;
15. ლითოლოგიური ჭრილები ——— 26გვ;
16. ტოპოგეგმა ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით ——— 33გვ;
17. ფოტომასალა ——— 34გვ;

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. პროექტის დასახელება: – სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;
2. დამკვეთი: – ფ/პ გიორგი გოგიტიძე / პ.ნ. 33001010123;
3. ობიექტის მდებარეობა:
   ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა (ს/კ 81.02.22.262);
4. დაპროექტების სტადია: – სამუშაო დოკუმენტაცია;
5. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: – II;
6. ობიექტის ტექნიკური დახასიათება: – სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი;
   * სართულიანობა: – ორსართულიანი (-1 სარდაფის სართული);
   * კონფიგურაცია, გაბარიტული ზომები და საძირკვლის ტიპი დადგინდება მოგვიანებით, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე;
7. ჩატარდეს:
   საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით;
8. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას:
   ორ ეგზემპლარად, + ელექტრონული ვერსია;

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი:

ჩასატარებელი კვლევების პროგრამა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა საფუძველზე:

– ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის); პ.ნ. 02.01-08 (შენობა-ნაგებობების ფუძეები); პ.ნ. 01.01-09 (სეისმომედეგი მშენებლობა); ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები); ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები); სახსტანდარტი 25100-95 (გრუნტების კლასიფიკაცია);

<u>ჩასატარებელი კვლევების მიზანი:</u>

ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა (ს/კ 81.02.22.262) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მომზადება;

<u>დასახული ამოცანის შესასრულებლად უნდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:</u>

- მოედანზე გაყვანილი იქნას სათანადო სიღრმის 6-7 შურფ-ჭაბურღილი არსებული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნას და ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეული იქნას არანაკლებ 2 ნიმუში (ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის მოთხოვნებით);
- გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში აღებული იქნას არანაკლებ 1 წყლის სინჯი;
- ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგეს ტექნიკური ანგარიში და აიკინძოს 3 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია.

დირექტორი, გეოლოგიის აკად. დოქტორი: **/გივი იაშვილი/**

შესავალი

ფ,პ გიორგი გოგიტიძის დაკვეთის საფუძველზე 2021წ. ოქტომბრის თვეში შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"-ის გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები:

– ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა, (ს/კ 81.02.22.262);

კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს:

სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა;

სამუშაოებს ხელმძღვანელობდა: – ინჟინერ-გეოლოგი გურამ იაშვილი;

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

- მოძიებულია და გამოყენებულია საფონდო მასალები;
- უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია და ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად ხელბურღის მეშვეობით გაყვანილი იქნა 7 შურფ-ჭაბურღილი (საერთო სიღრმით 15.0გრძ/მ);
- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა 15 ნიმუში;
- ნიმუშებიდან შერჩეული იქნა დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისთვის;
- საკვლევ ობიექტზე (ჩვენს მიერ გამოკვლეულ სიღრმემდე – 3.0მ.) გრუნტის წყალი არ გამოვლინდა (ოქტომბერი, 2021წ);
- სველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ შურფ-ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით;
- განსაზღვრული იქნა:

  1. გრუნტის ტიპი;
  2. ფიზიკური თვისებები;
  3. მექანიკური მახასიათებლები;

- წინამდებარე დასკვნა შედგენილია სველე სამუშაოების და საფონდო მასალების მონაცემების საფუძველზე;
- <u>სამუშაოები მიმდინარეობდა:</u> – 9 ოქტომბერი (2021წ.);
  - სველე კვლევებისას ყველა გამონამუშევარი შესრულებულია დამკვეთის მიერ მითითებული რაოდენობით, სიღრმით და კოორდინატების შესაბამისად;
- კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად:
  - ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – "საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
  - პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები";
  - პ.ნ. 01.01.09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
  - ს.ნ. და წ. IV-5-82 – "მიწის სამუშაოები";
  - ს.ნ. და წ. 02.01-87 –"მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
  - სახსტანდარტი 25100-95 – "გრუნტების კლასიფიკაცია";
- მიღებული შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ანგარიშის სახით, სადაც მოცემულია:
  - ლითოლოგიური სვეტები;
  - ლითოლოგიური ჭრილები;
  - ტოპოგეგმა შურფ-ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით;
  - ფოტომასალა;

ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგია – საკვლევი უბანი განთავსებულია ქ. თბილისში, სოფ. წავკისში, ა. წერეთლის ქუჩაზე, ზღვის დონიდან 1053მ–1058მ-მდე ჰიპსომეტრიულ ნიშნულებს შორის სიმაღლეზე.

ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით დახრილ ფერდს.

ტერიტორიის მორფოლოგიური თავისებურებები ყალიბდებოდა ხანგრძლივი გეოლოგიური პერიოდის მანძილზე, ორი მსხვილი ტექტონიკური ერთეულის – მცირე კავკასიონის (აჭარა-თრიალეთის ქედი) და საქართველოს ბელტის განვითარების ფონზე.

საკვლევი ობიექტი მდებარეობს მამა დავითის ქედის ჩრდილოეთ ფერდის გარდამავალ ზონაში, ცნობილი სინკლინის მულდის ამგები ოლიგოცენ-ქვედა-მიოცენური ასაკის ძლიერ დისლოცირებული დანაწევრებული და გადარეცხილი, ადვილად ეროზირებადი, დანალექი ქანების სუბსტრატზე.

ქვედა მიოცენური სისტემის საყარაულოს და კოწახურის იარუსების ამგები ნალექების (არგილიტების და ქვიშაქვების) სახით. ტერასის ზედაპირი თითქმის ბრტყელი, სწორხაზოვანია და დახრილია ჩრდილოეთ მიმართულებით.

გეოლოგიური აგებულება – სამშენებლო მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ ქანები პალეოგენიდან დაწყებული მეოთხეულის ჩათვლით.

პალეოგენური ასაკის ნალექები – საკვლევ უბანზე მოქცეულია ნეოგენური ნალექების ქვეშ და ზედაპირზე მათი გამოსავლები საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ფიქსირდება, სადაც ეს ნალექები წარმოდგენილია შუა და ზედა ოლიგოცენური წარმონაქმნებით.

აღნიშნული ნალექები თანხმობით ადევს ხადუმის ჰორიზონტს და აგებულია მძლავრი, სქელშრეებრივი ქვიშაქვების დასტებით, რომლებიც მორიგეობენ ქვიშაქვების თხელ შუაშრეებიან თიხებთან და ალევროლიტებთან.

ქვიშაქვები ნაცრისფერი და პოლიმიქტურია, ტუფური ნატეხოვანი მასალა შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენური ნალექების გადარეცხვის პროდუქტია. ცემენტი კარბონატულია ან თიხიან-კარბონატული.

ალევროლიტები ძირითადად კარბონატულია და მოყვითალო-ნაცრისფერი, ან ნაცრისფერი ტონალობისაა. თიხები, როგორც წესი არაკარბონატულია, მოყვითალომოყავისფრო ფერის, თხელშრეებრივია.

ნეოგენური ასაკის – წარმონაქმნები საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტებით.

საყარაულოს ჰორიზონტის ნალექები თანხმობით ადევს ზედა ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნებს, რომლებიც წარმოდგენილია კვარც-არკოზული შემადგენლობის ქვიშაქვებით, თიხების, არგილიტების და მიკროკონგლომერატების შუაშრეებით.

– საკვლევ ტერიტორიაზე ჭრილში ქვიშაქვები უხეშმარცვლოვანია, აღმოსავლეთ გავრცელებაზე კი შედარებით წვრილმარცვლოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ მიმართულებით ქვიშაქვების სიმძლავრეები თანდათანობით კლებულობს, არგილიტების სიმძლავრე კი მატულობს.



1. მეოთხეული;
2. ნეოგენური;
3. პალეოგენური;
4. ცარცული;
5. იურული;
6. შუა პალეოზოურ-ტრიასული;
7. ნეოპროტეროზოურ-ქვედა პალეოზოური;
8. ნეოგენურ-მეოთხეული სუბაერული ვულკანიტები;
9. იურული გრანიტოიდები;
10. ნეოპროტეროზოური და პალეოზოური გრანიტოიდები;
11. რღვევები;
12. შარიაჟების ფრონტალური ხაზები;
13. საქართველოს სამხედრო გზა;

ტექტონიკა – ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000წ.) მოქცეულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე.



იგი ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია ამიერკავკასიის მთათაშუა არის ქართლის მოლასური ქვეზონით.

ამ ორ ზონას შორის საზღვარს წარმოადგენს მცხეთა-მამკოდა-ნორიო-ხაშმის მსხვილი ნაწევი. ნაწევის სიბრტყის დაქანება ჩრდილოურია, დახრის კუთხე 60–70^0. ამ ნაწევის სამხრეთით აღინიშნება ნაოჭა სტრუქტურების მთელი სერია, სინკლინორიუმები, ბრახი ანტიკლინებითა და ანტიკლინორიუმები ბრახი სინკლინებით.

სამშენებლო მოედანი მოქცეულია ხევძმარი-ორმოიანის სინკლინის გავრცელების არეალში, რომელიც სამხრეთიდან ისაზღვრება ლისის, ანუ დიღმის ანტიკლინით, რომელიც მანგლისიდან ვრცელდება ლისის ტბის აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

აღნიშნული ანტიკლინის ძირითადი ნაწილი აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ქვიშაქვიან-თიხიანი წარმონაქმნებით, ხოლო ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მცხეთა-ნორიო-ხაშმის ანტიკლინით.

ანტიკლინის ღერძული ნაწილი აგებულია ქვედა ოლიგოცენური ასაკის წარმონაქმნებით, ხოლო სამხრეთ ფრთაზე გამოდის ყველა ჰორიზონტი კარაგანულამდე.

ნაოჭის ფრთები ფართოდ გაშლილი და ასიმეტრიულია, ნაოჭის ღერძულა ნაწილი აგებულია მიოცენური ასაკის ნალექებით.

ჩრდილო ფრთა შედარებით ციცაბოა, დახრის კუთხე 70–75^0-მდე. ზოგ ადგილას გადაბრუნებულია.

სამხრეთი ფრთა შედარებით დამრეცია, დახრის კუთხე 30–50^0-მდე.

ორივე ფრთა აგებულია ოლიგოცენური და მიოცენური ასაკის წარმონაქმნებით.



სეისმურობა – საკვლევი ტერიტორია (სამშენებლო მოედანი) მდებარეობს ასპინძა-თბილისის მორფოსტრუქტურული ერთეულის ზონაში, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით.

ზონა განლაგებულია მაღალი სეისმური რისკის არეალში.

საქ. მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების გავრცელების ზონაში.



სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

ტალღების გავრცელების გაბატონებული მიმართულება(სუბგანედური) ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთურია.

მიწისძვრებით გამოწვეული გეოდინამიკური ცვლილებები ყველაზე მეტად გამოხატულია ტექტონიკურ რღვევებს შორის განლაგებულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებში, სადაც დღესაც გრძელდება პულსაციური (როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი) მოძრაობები.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

თბილისში 6-7 ბალიანი მიწისძვრები მომხდარა – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში.

XX საუკუნის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ხანგრძლივობა 2.1–3.6წმ-მდე მერყეობს.

დაფიქსირებული მიწისძვრები



ჰიდროგეოლოგიური პირობები – სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორიები საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე, 1970წ.) მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში.



პირობითი აღნიშვნები

ჰიდროგეოლოგიური რეგიონი		ჰიდროგეოლოგიური რაიონი	
I	მთავარი კავკასიონის კრისტალური სუბსტრატის გრუნტის წყლების ზონა		
II	მთავარი კავკასიონის სამხრეთი ფერდის წყალწნევიანი სისტემების ზონა	II_1	აფხაზეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_2	სვანეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_3	მესტია-თიანეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		II_4	ყაზბეგ-მთათუშეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		II_5	კელასურის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
		II_6	ყელი-ყაზბეგის ლავური განფენების გრუნტის ნაპრალური წყლების რაიონი
III	საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ზონა	III_1	ბზიფის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_2	კოდორის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_3	სამეგრელოს ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_4	რაჭა-ლეჩხუმის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_5	კოლხეთის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_6	გურიის ფოროვანი, ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_7	წყალტუბოს ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_8	არგვეთის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_9	ქართლის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{10}	ალაზნის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
		III_{11}	იორი-შირაქის ფოროვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{12}	მარნეულ-გარდაბნის ფოროვანი და ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
		III_{13}	ძირულის კრისტალური მასივის გრუნტის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების არტეზიული აუზი
IV	აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ზონა	IV_1	აჭარა-იმერეთის ნაპრალური წყალწნევიანი სისტემა
		IV_2	თრიალეთის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_3	თბილისის ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყალწნევიანი სისტემა
		IV_4	ახალციხის ნაპრალური წყლების არტეზიული აუზი
V	არტვინ-ბოლნისის ბელტის გრუნტის წყლების ზონა	V_1	ახალქალაქის ლავური წარმონაქმნების ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი
		V_2	ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთი კალთის ნაპრალური გრუნტის წყლების რაიონი

საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

– შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;
– მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი;

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე.

ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია 2.5–8.2გ/ლ-მდე მერყეობს. ყველა წყალი თითქმის სულფატურია. კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na.

მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში, აქედან გამომდინარე ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ – კალციუმიან – მაგნიუმიანი, ქლორიდულ – ნატრიუმიან – კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2–5გრ/ლ-მდე.

საქ. კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ თბილისის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ჩატარებული 20 მინერალური წყაროს ქიმიური ანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი ქიმიური შედგენილობით და მინერალიზაციით, ერთმანეთისგან განსხვავებულია.

გვხვდება სულფატურ–ჰიდროკარბონატული, კალციუმიან–ნატრიუმიანი, სულფატურ–კალციუმიან–მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები.

მინერალიზაცია მერყეობს 0.4–0.8გრ/ლ-ის ფარგლებში.

წყლის ტემპერატურა ყველა წყაროებში მერყეობს 11–17^{0}C-მდე.

მჟავე წყლები არ ფიქსირდება.

კლიმატი – საკვლევი ტერიტორიის კლიმატური მონაცემები აღებულია საქ. სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმებიდან – პ.ნ. 01.05.08. საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება IIბ ქვერაიონს;



სოფ. წავკისის ჰავას, როგორც თბილისის მეტეოსადგურის დაკვირვებები გვიჩვენებს, ახასიათებს:

- საშუალო წლიური ტემპერატურა – 7.4^0;
- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი – -26^0-ია;
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – 33^0;
- ტემპერატურის მაქსიმალური თვიური ამპლიტუდა – 19.6^0;
- ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი – 875მმ;
- ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 199მმ;
- ჰაერის საშ. წლიური ფარდობითი ტენიანობა – 74%-მდე; რაიონში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები.
- მაქსიმალურმა სიჩქარემ შესაძლოა – 32მ/წმ-ს მიაღწიოს;
- თოვლის საფარის წონა – 0.59კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 77;
- გრუნტების გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 79სმ;

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

/სპეციალური ნაწილი/

2021წლის ოქტომბრის თვეში ჩვენს მიერ, საკვლევი ტერიტორიის გამოკვლევისას გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ნიადაგის ფენა(ფენა-1);
2. ს.გ.ე. 1 ფენა-2) – თიხნარი – მყარი კონსისტენციის, ყავისფერი, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით;
3. ს.გ.ე. 2(ფენა-3) – ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – (გათიხებული);
4. ს.გ.ე. 3(ფენა-4) – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

ნიადაგის ფენა(ფენა-1) – გავრცელებულია ზედაპირიდან პირველ შრედ ტერიტორიის მთელ ფართზე, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, ფენის სიმძლავრე 0.4მ-ს არ აღემატება.

- ნიადაგის ფენა არ წარმოადგენს ფუძე-გრუნტს და ამიტომ, ის არ იქნა გამოყოფილი, როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი;
- დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II კატეგორიას;

ს.გ.ე. 1(ფენა-2) – თიხნარი – მყარი კონსისტენციის, ყავისფერი, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით – გამოვლინდა საკვლევ ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში (შ.ჭ. №3, №4, №5, №7,) მიწის ზედაპირიდან 0.4მ-დან–1.2მ-მდე სიღმის ინტერვალში;

- გრუნტში ხვინჭოვანი მასალის არსებობის გამო მათი ლაბორატორიული გამოცდით სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების განსაზღვრა ვერ მოხერხდა;
- ეს მახასიათებლები აღებულია ს.ნ. 02.01.08 დანართი 2, ცხრ. №3-დან;

ცხრ. №1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომ. ერთეული	თვისება (მყარი)
1	სიმკვრივე	P	გ/სმ^3	1.86
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	P_d	გ/სმ^3	1.65
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	P_s	გ/სმ^3	2.70
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	12.8
5	ფორიანობა	n	%	38.9
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0.637
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ.	35.2
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_P	ერთ.ნაწ.	22.6
9	პლასტიკურობის რიცხვი	I_P	ერთ.ნაწ.	12.6
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ.ნაწ.	-0.78
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.542
12	❖ დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	180
13	❖ საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2.2

- დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება – III კატეგორიას;

ს.გ.ე. 2$^{(ფენა-3)}$ – ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა (გათიხებული) – მათი სიმძლავრე 0.6მ-ს არ აღემატება.

გამოფიტვის ქერქის ქვეფენა – წვრილდისპერსიული – თითქმის მთლიანად გადარეცხილია.

ნიმუშის აღება ამ ფენაში, დაუშლელი სტრუქტურის შენარჩუნებით შეუძლებელია. ამიტომ, ვსარგებლობთ ლიტერატურული მასალით, კერძოდ, მკვლევარ გ. ჯაფარიძის მონოგრაფიით "ქ. თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები" და ამ ფენის პირობით წინაღობას ვიღებთ: $R_0 = 3.0$კგძ/სმ^2;

ს.გ.ე. 3$^{(ფენა-4)}$ – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი – საკვლევ მოედანზე გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 0.4მ-დან.

ამ ფენაში გვხვდება ნაპრალები, მაგრამ ნაპრალს შორის გრუნტებს შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე.

ქანების დაქანების აზიმუტი 330^0–270^0-მდე იცვლება, დახრის კუთხით 25–30^0-მდე.

არგილიტები ლითოლოგიურად იგივე თიხებია, რომლებმაც სახე იცვალეს მაღალი ტემპერატურისა და წნევის მოქმედების შედეგად.

ქვიშაქვები შემადგენლობით ძირითადად არკოზიულია. მათი ცალკეული მარცვლები შეცემენტებული თიხური ნაწილაკებია, ამიტომ მათ ხშირად ფენიან ქვიშაქვებს უწოდებენ. ურევიათ მცირე რაოდენობის კვარცის და სილერიტის მარცვლები.

იმისთვის, რომ დაგვედგინა სუსტად გამოფიტული არგილიტებისა და ქვიშაქვების ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე შერჩეული იქნა 2 ნიმუში და განსაზღვრული იქნა ლაბორატირიულ პირობებში ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე (შედეგები მოცემულია ცხრ. №2-ში);

ცხრ. №2

№	ნიმუში	ფენის №	აღების სიღრმე	ბუნებრივი სიმკვრივე გ/სმ³	$R_{კგ/სმ^2}$		დარბილების კოეფიციენტი
					ბუნებრ.	წყალგაჯღ.	
1	არგილიტი	1	0.6	2.10	56	40	0.71
2	ქვიშაქვა	2	0.7	2.30	180	155	0.86

* როგორც შედეგებიდან ჩანს არგილიტები მიეკუთვნება დარბილებად გრუნტებს, ქვიშაქვები კი არადარბილებადია;
* დამუშავების სირთულის მიხედვით აღნიშნული ფენა ს.ნ. და წ. IV-2-82წ. ცხრ. №1-1-ის მიხედვით მიეკუთვნება - VI კატეგორიას;

დასკვნები და რეკომენდაციები

1. ადმინისტრაციულად სამშენებლო მოედანი მდებარეობს:
   – ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა (მიწის ნაკვეთი ს/კ 81.02.22.262), ზღვის დონიდან 1043მ.–1058მ-მდე ჰოპსომეტრიულ ნიშნულებს შორის სიმაღლეზე;

2. საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით დახრილ ფერდს.
   - რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას მოსალოდნელი არ არის;

3. საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე – 2000წ.) სამშენებლო მოედანი მდებარეობს მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის სამხრეთი ზონის უკიდურეს ჩრდილო პერიფერიაზე და მიეკუთვნება მთაწმინდის ქვეზონას;

4. საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე – 1970წ.) სამშენებლო მოედანი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისის წყალწნევიანი ნაპრალოვანი და ნაპრალოვან–კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში;

5. საქ. სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება II კლიმატური რაიონის, Iიბ ქვერაიონს;

6. საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი მოედანი სამშენებლო ნორმებით ს.ნ. და წ. 1.02.07-87 დანართი 10-ის მიხედვით მიეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას;

7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი შემდეგნაირია:
   1. ნიადაგის ფენა(ფენა-1);
   2. ს.გ.ე. 1(ფენა-2) – თიხნარი – მყარი კონსისტენციის, ყავისფერი, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით

3. ს.გ.ე. 2(შენა-3) – ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა (გათიხებული);

4. ს.გ.ე. 3(შენა-4) – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

8. საკვლევ ტერიტორიაზე (ჩვენს მიერ გამოკვლეულ სიღრმემდე – 3.0მ.) გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა (ოქტომბერი, 2021წ.);

9. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით, ფუძის გრუნტად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს:

- ს.გ.ე. 3(შენა-4) – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი – რომლის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯღენთილ მდგომარეობაში შეადგენს:

$$R_c^{(არგილ.)}=40კგ/სმ^2; \quad / \quad R_c^{(ქვიშაქვა)}=155კგ/სმ^2;$$

ქანების დაქანების აზიმუტი 330^0–270^0-მდე იცვლება, დახრის კუთხით 25–30^0-მდე;

➢ საძირკვლის ტიპად რეკომენდირებულია:

– ნებისმიერი არაღრმა განლაგების ტიპის საძირკველი;

10. სოფ. წავკისი – პ.ნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" – სეიმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას.

- სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A – 0.14;
- უბნის ამგები გრუნტი სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით მიეკუთვნება I კატეგორიას. ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებულია – 7 ბალი(M SK64 – სკალა);

11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, საკვლევი გრუნტები სამშენებლო ნორმებით IV-2-82წ. ცხრ. №1-1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან:

- ნიადაგის ფენა – IIჯგ;
- თიხნარი – IIIჯგ;
- ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა – IIIჯგ;
- სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – VIჯგ;

12. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01- 87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით;

ინჟინერ-გეოლოგი: /გ. იაშვილი/

Tbilisi / Georgia
Mobile: (+995) 599-40-35-99
e-Mail: guriashvili@gmail.com
Engineer-Geologist: Guram Iashvili

გამოყენებული მასალები

“საქ. ფიზიკური გეოგრაფია” – თბილისი, 1964წ. – ლ. ი. მარუაშვილი;

“Геоморфология Грузии” – Тбилиси, 1971г. – И. С. Корошинадзе, Б. А. Гергедава;

“ქ. თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები” – გ. ჯაფარიძე;

“საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემა”, 1970წ. – ი. ბუაჩიძე;

“საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემა”, 2000წ. – ე. გამყრელიძე;

- ს.ნ. და წ. 1.02.07-87წ – “საინჟინრო ძიება მშენებლობისათვის”;
- პ.ნ. 01.01-09 – “სეისმომედეგი მშენებლობა”;
- პ.ნ. 01.05-08 – “სამშენებლო კლიმატოლოგია”;
- პ.ნ. 02.01-08 – “შენობა-ნაგებობების ფუძეები”;
- ს.ნ. და წ. IV-5-82 – “მიწის სამუშაოები”;
- სახსტანდარტი 25100-95 – “გრუნტების კლასიფიკაცია”;

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 1

აბს. ნიშნული: Z - 1056.0

ჭაბურღილის №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სვეტი
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0				ნიადაგის ფენა;	0.4	
3	1.0	0.4 - 0.6	D	1	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	
	2.0						
	3.0						
	4.0						
	5.0						

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.1

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 2

აბს. ნიშნული: Z - 1049.6

ჭაბურღილის №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სვეტი
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0				ნიადაგის ფენა;	0.4	
3	1.0	0.5 - 0.7	D	1	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	
	2.0						
	3.0						
	4.0						
	5.0						

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.2

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 3

აბს. ნიშნული: Z - 1050.0

ფენა №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სვეტილი
					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნიადაგის ფენა;	0.4	
1		0.8 - 1.0	D	1	თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;	1.2	
2		1.5 - 1.7	D	2	ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);	1.8	
3		2.1 - 2.3	D	3	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	3.0	

0.0, 1.0, 2.0, 3.0, 4.0, 5.0

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.3

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 4

აბს. ნიშნული: Z - 1048.0

ფენა №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სვეტილი
					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნიადაგის ფენა;	0.4	
1		0.5 - 0.7	D	1	თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;	1.0	
2		1.2 - 1.4	D	2	ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);	1.6	
3		1.8 - 2.0	D	3	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	

0.0, 1.0, 2.0, 3.0, 4.0, 5.0

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.4

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 5

აბს. ნიშნული: Z - 1044.0

ფენა №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის ხიდრმე (მ)	ხიდრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	ხიდრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნიადაგის ფენა;	0.4	
1		0.5 - 0.7	D	1	თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;	0.8	
2		1.0 - 1.2	D	2	ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);	1.3	
3		1.6 - 1.8	D	3	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	

0.0 1.0 2.0 3.0 4.0 5.0

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.5

დაწყების თარიღი: 25.09.2021
დასრულების თარიღი: 25.09.2021

შურფ-ჭაბურღილი №.: 6

აბს. ნიშნული: Z - 1054.0

ფენა №	ნიმუში/ადგილზე ტესტირება: ჭაბურღილის ხიდრმე (მ)	ხიდრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	ხიდრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნიადაგის ფენა;	0.4	
3		1.0 - 1.2	D	3	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	

0.0 1.0 2.0 3.0 4.0 5.0

შენიშვნები:

ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ):

ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):

ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი

შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ნახაზი №.: 2.6

დაწყების თარიღი: 25.09.2021 დასრულების თარიღი: 25.09.2021	შურფ-ჭაბურღილი №.: 7	აბს. ნიშნული: Z - 1045.5

სვე №	ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
		ნიმუში/ადგილზე ტესტირება					
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0				ნიადაგის ფენა;	0.4	
1		0.5 - 0.7	D	1	თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;	0.9	
2	1.0	1.7 - 1.9	D	2	ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);	1.5	
3		1.8 - 2.0	D	3	სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;	2.0	
	2.0						
	3.0						
	4.0						
	5.0						

შენიშვნები:	ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ): ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):	ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი
შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"	პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	ნახაზი №.: 2.7

დაწყების თარიღი: დასრულების თარიღი:	შურფ-ჭაბურღილი №.:	აბს. ნიშნული: Z -

სვე №	ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
		ნიმუში/ადგილზე ტესტირება					
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0						
	1.0						
	2.0						
	3.0						
	4.0						
	5.0						

შენიშვნები:	ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ): ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):	ინჟინერ გეოლოგი: გურამ იაშვილი
შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"		ნახაზი №.:

ლითოლოგიური ჭრილი I-I'

მასშტაბი ვერტ. 1:100
ჰორიზ. 1:200



პირობითი აღნიშვნები

ნიადაგი;

1 თიხნარი, ქვიშიანი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;

2 ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);

3 სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "ბეო-ძიება 2013"

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საავარაკედასახლებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

სტადია	ფურცელი	ფურცლები
პ	1	1

ლითოლოგიური ჭრილი I-I'

მასშტაბი: ვერტიკალური 1:100; ჰორიზონტალური 1:200

ნახაზი № 1

ლითოლოგიური ჭრილი II-II'

მასშტაბი ვერტ. 1:100 / ჰორიზ. 1:200



პირობითი აღნიშვნები

- ნიადაგი;
- 1 — თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;
- 2 — ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);
- 3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "გეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი II-II' მასშტაბი: ვერტიკალური 1:100 ჰორიზონტალური 1:200	ნახაზი № 2		

ᲚᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲭᲠᲘᲚᲘ III-III'

მასშტაბი ვერტ. 1:100 / ჰორიზ. 1:200



ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

- ნიადაგის ფენა;
- 3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

ᲨᲞᲡ "ᲒᲔᲝ-ᲫᲘᲔᲑᲐ 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	ᲡᲢᲐᲓᲘᲐ	ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ
	Პ	1	1
ᲚᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲭᲠᲘᲚᲘ III-III' ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ: ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ 1:100 ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ 1:200	ᲜᲐᲮᲐᲖᲘ № 3		

ლითოლოგიური ჭრილი IV-IV'

მასშტაბი ვერტ. 1:100
ჰორიზ. 1:200



პირობითი აღნიშვნები

- ნიადაგის ფენა;
- 1 — თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;
- 2 — ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);
- 3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "გეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საავარიო-გადასახედველი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი IV-IV'		ნახაზი № 4	
მასშტაბი: ვერტიკალური 1:100; ჰორიზონტალური 1:200			

ლითოლოგიური ჭრილი V-V'

მასშტაბი ვერტ. 1:100 / ჰორიზ. 1:200



პირობითი აღნიშვნები

- ნიადაგის ფენა;
- 1 — თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;
- 2 — ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);
- 3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "გეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 საავარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი V-V' მასშტაბი: ვერტიკალური 1:100 ჰორიზონტალური 1:200	ნახაზი № 5		

ლითოლოგიური ჭრილი VI-VI'

მასშტაბი ვერტ. 1:100 / ჰორიზ. 1:200



პირობითი აღნიშვნები

ნიადაგი;

1 — თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;

2 — ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);

3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "გეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი VI-VI' მასშტაბი: ვერტიკალური 1:100 ჰორიზონტალური 1:200	ნახაზი № 6		

ლითოლოგიური ჭრილი VII-VII'

მასშტაბი 1:100



პირობითი აღნიშვნები

- ნიადაგი;
- 1 — თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ხვინჭის მცირე ჩანართებით;
- 2 — ძლიერ გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, (გათიხებული);
- 3 — სუსტად ამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა, საშუალო სიმტკიცის, ნაპრალოვანი;

შპს "გეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, სოფ. წავკისი, ა. წერეთლის ქ. №2ა მიწის ნაკვეთზე ს/კ 81.02.22.262 სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი VII-VII' მასშტაბი: ვერტიკალური 1:100 ჰორიზონტალური 1:100	ნახაზი № 7		

ტოპოგრაფიული რუქა

N

C:\Users\Dato\Desktop\REGISTRACIEBI.jpg

სიტუაციური გეგმა



(მიწისქვეშა კომუნიკაციები დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ბაზაზე დაყრდნობით,მშენებლობის დაწყების წინ გამოძახილი იქნას შესაბამისი მიწისქვეშა კომუნიკაციების წარმომადგენელი)

ნაკვეთის ფართობი: 3000 მ²
სერვიტუტის ფართობი: 000 მ²

ტოპოგრაფიული ნახაზი მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ

მიწისქვეშა კომუნიკაციები	პირობითი აღნიშვნები			
კანალიზაცია	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	გეგმურ სიმაღლური წერტილი (რპ)	რკინის ღობე
დენის კაბელი	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური
გაზის მილი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი
წყლის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
კავშირგაბმულობა	სერვიტუტი	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
	კიბე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი
	ფოთლოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური
	წიწვოვანი ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე
	ხეხილის ხე	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური
	პალმა			

შ.პ.ს. "ჯითი სარვეი"
L.T.D " GT Survey"

ქ.თბილისი,დიდი დიღომი,მირიან მეფის ქ №5
მობ: 598 30 20 15 599 53 15 15

დირექტორი	[signature]	გ. ხაჩიძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა	[signature]	ი.მანჯგალაძე
გეოდეზისტი კომპ. უზრუნველყოფა	[signature]	დ.კასაბური
მისამართი	ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ (81.02.01.869)	
დამკვეთი		
	თარიღი	24.02.2020

ფოტომასალა
PHOTOS



Photo 1.



Photo 2.



Photo 3.



Photo 4.



Photo 5.



Photo 6.

ფოტომასალა
PHOTOS



Photo 7.



Photo 8.



Photo 9.



Photo 10.



Photo 11.



Photo 12.

ფოტომასალა
PHOTOS



Photo 13.



Photo 14.



Photo 15.



Photo 16.



Photo 17.



Photo 18.

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, სოფ. წავკისში (ს/კ 81.02.22.265) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

